

საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი
გეგმა

2014-2020 წწ

სარჩევი

[პრეამბულა].....	3
[ხედვა]	3
[სავალდებულობა]	3
[ნორმატიული საფუძველი].....	4
[თანმიმდევრობა].....	4
[საბაზრო გარემოს დახასიათება].....	5
[სამართლებრივი გარემო]	6
[ორგანიზაციული გარემო]	7
[კოლეჯის მისია].....	7
[კოლეჯის მიზნები]	7
[კოლეჯის ამოცანები]	8
ექსპლიანტი სტრატეგიული განვითარების გეგმა	9

[პრეამბულა]

საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“ (შემდგომში კოლეჯი) განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია – წინამდებარე ექვს წლიანი სტრატეგიული გეგმა მოწოდებულია კოლეჯის საქმიანობის დაწყებიდან პირველი 6 წლის განმავლობაში განსაზღვროს საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების შემდგომი განვითარებისა და განათლების ბაზარზე ადგილის მოსაპოვებლედ განსახორციელებელი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, პასუხისმგებელი ორგანოები და დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა.

[ხედვა]

განვითარების სტრატეგია შეესაბამება კოლეჯის მისიასა და განვითარების პოლიტიკას, შრომის ბაზარზე არსებულ კონიუქტურას, სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს კოლეჯის საქმიანობის სფეროში, ორგანიზაციის ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ინტელექტუალურ პოტენციალს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების რაციონალური ანალიზი და განვითარების პროცესში მათი ასახვა, წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიის, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტის, გამოყენების აუცილებლობა.

[სავალდებულოობა]

სტრატეგია წარმოადგენს კოლეჯის დამფუძნებელთა ნების გამოვლინებას, რომელიც შექმნილია მოქმედი საბაზრო კონიუქტურის ანალიზისა და არსებულ რესურსებთან სადამფუძნებლო მიზნების შეჯერების შედეგად.

სტრატეგია გამოხატავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს, და ამდენად, სავალდებულოა გასათვალისწინებლად კოლეჯის თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის, კოლეჯის ხელმძღვანელობის ჩათვლით.

კოლეჯის საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს სტრატეგიით დასახული მიზნების რეალიზებას, ასევე პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ემსახურება მათ, მიჩნეულია დამხმარე საქმიანობად და შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ხელს არ უშლია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ან/და არ აბრკოლებს მათ.

[ნორმატიული საფუძველი]

წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნები :

- ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ბ) საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებები პროფესიული განათლების სფეროს განვითარების, პროფესიული განათლების დაფინანსების სფეროებში
- გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება - „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის დებულება“

[თანმიმდევრობა]

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი სტრატეგია წარმოადგენს გეგმიურ დოკუმენტს, რომელიც აგებულია შემდეგი სტრუქტურით:

- ა) საბაზრო გარემო;
- ბ) სამართლებრივი გარემო;
- გ) ორგანიზაციული გარემო;
- დ) მისია, მიზნები, ამოცანები;
- ე) სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები;
- ე) განსახორციელებელი პროცესების განხორციელების კალენდარული გეგმა
- ვ) განსახორციელებელი პროცესების დეტალიზაცია
- თ) პასუხისმგებელი პირები, ვალდებულება და ანგარიშგება
- ი) სტრატეგიული მიზნების შესაბამისი აქტივობების მონიტორინგის, შეცვლისა და გაუქმების ფორმები

[საბაზრო გარემოს დახასიათება]

საქართველოში 2010-2012 წლებში განხორციელებული პროფესიული განათლების რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზარზე პროფესიული განათლების მოთხოვნა.

ამჟამად არსებული სიტუაციით, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებების მომსახურებაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება ამდგვარი პროგრამების განმახორციელებელი სუბიექტების შესაძლებლობებს, დააკმაყოფილოს მოკლე ვადაში პროფესიის მიღების ყველა მსურველი.

საბაზრო დინამიკის გათვალისწინებით მოთხოვნის პარალელურად იზრდება პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების დაფუძნების, მათ მიერ სახელმწიფო ავტორიზებისა და შეთავაზებული პროგრამების რაოდენობები.

აღნიშნული პერიოდი, სტაბილურად მზარდი დინამიკით გამოირჩევა და რაციონალურად მომგებიანია ბაზარზე ახალი სუბიექტის შესვლისათვის.

[სამართლებრივი გარემო]

პროფესიული განათლების ბაზარი საქართველოში შედგება შემდეგი ძირითადი კატეგორიების მომხმარებლისგან;

- საბაზო სკოლის დამთავრებული მოსწავლეები რომლებიც სკოლაში სწავლის პარალელურად სურთ დაეუფლონ პროფესიულ განათლებას
- სკოლის მოსწავლეები, რომელიც დამთავრებული აქვთ საბაზო საფეხური და აღარ აგრძელებს სკოლაში სწავლას, მათ შორის პირები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს საატესტატო გამოცდა.
- სკოლადადამთავრებული მოსწავლეები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამის შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად არ რეგისტრირდებიან უმაღლესი განათლების მისაღებ გამოცდებზე.
- აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით ვერ აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს და შესაბამისად, არ შეუძლიათ აკადემიური უმაღლესი განათლების დიპლომის მიღება
- პირები, რომლებსაც მათი პროფესიული ცოდნის ფორმალური ატესტაცია, და მის საფუძველზე პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის მიღება სურთ
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელსაც უცხო ქვეყნის პროფესიული დოკუმენტის მიღება სურთ

თითოეული ზემოთ მოხსენიებული კატეგორია, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სავარაუდოა ზრდა განიცადოს როგორც გარემო ფაქტორების (რეფორმა, ეკონომიკური პრიორიტეტების შეცვლა და ა.შ.) ასევე ბუნებრივი ფაქტორების (დემოგრაფიული ზრდა პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირების ასაკის თაობებში) გათვალისწინებით.

[ორგანიზაციული გარემო]

ორგანიზაციული გარემო ჩამოყალიბებულია, მისი მისიის, მიზნებითა და პრიორიტეტებით დადგენილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობიდან გამომდინარე, და წინამდებარე გეგმით დადგენილი თანამიმდევრობით ემსახურება აღნიშნული შედეგების მიღწევას.

[კოლეჯის მისია]

კოლეჯის მისიაა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

[კოლეჯის მიზნები]

კოლეჯის მიზანია ისეთი ტიპის პროფესიული განათლების შეთავაზება, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ჩამოაყალიბებს არამხოლოდ თავისი საქმის სპეციალისტად, არამედ პიროვნებად - ქართული საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

[კოლეჯის ამოცანები]

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მის სრულყოფაზე მუდმივი ზრუნვა;
- მაღალ კვალიფიციური მასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა გუნდის შექმნა;
- კოლეჯის ადმინისტრაციის დაკომპლექტება პროფესიონალებით;
- კოლეჯის თანამშრომლეთა (როგორც ადმინისტრაციის ასევე მასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა) პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დანერგვა და გამომუშავება სწავლების პროცესში;
- სწავლებისა და აღზრდის პროცესის სრულყოფა;
- კოლეჯის პროფესიული სტუდენტების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტებად აღზრდა;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების შესახებ ინფორმაციის მუდმივი შესწავლა და ამის საფუძველზე მომავალი სტრატეგიის განსაზღვრა;
- პროფესიულ სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ურთიერთკავშირის სრულყოფა;

ექსპლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

N	აქტივობები	განხორციელების პერიოდი						2020	პროგრესი
		2014	2015	2016	2017	2018	2019		
	საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი								მიღწეული შედეგის მაჩვენებელი
1	საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება/ფორმირება და საორგანიზაციო პროცედურები								
1.1	ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/დახვეწა/შესაბამისი ცვლილებების გატარება								გამართული და ეფექტურია ორგანიზაციული სტრუქტურა
1.2	ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კადრების/თანამშრომლების განახლება/ახალი თანამშრომლების დანიშვნა/ ხელშეკრულების განახლება								ადმინისტრაციული თანამდებობები დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით
1.3	პროფესიულ განათლების მასწავლებელთა/პრაქტიკის ინსტრუქტორთა განახლება								კოლეჯის პროფესიული პროგრამები დაკომპლექტებულია კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებით და პრაქტიკის ინსტრუქტორებით

1.4	საავტორიტეტო განაცხადის შემუშავება								
1.5	ყოველწლიური თვითშეფასების შევსება და წარდგენა								დადგენილი ფორმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში მომზადებულია თვითშეფასების ანგარიში და წარდგენილია სსიპ განათლების ხარისხის გაანვითარების ეროვნულ ცენტრში
1.6	საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება								პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ
2									
	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები								
2.1	პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი ორგანიზაციების გაფართოება								პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით მოძიებულია და ჩართულია ორგანიზაციები და დაწესებულებები.
2.2	პრაქტიკის განხორციელების თაობაზე ურთიერთთანამშრომლობის ახალი/დამატებითი მემორანდუმის გაფორმება ან/და არსებულის განახლება								პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით მოძიებულია და ჩართულია ორგანიზაციები და დაწესებულებები.

2.3	პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი კურსების შემუშავება								საქართველოში დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ პროფესიებში შექმნილია მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
2.4	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლევადიანი კურსების შემუშავებაში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის მექანიზმების დახვეწა								მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში უშუალოდ ჩართულია კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები და მათთან კონსულტაციების გზით შექმნილია მოკლევადიანი პროგრამები.
2.5	პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი ორგანიზაციების ბაზის შექმნა, დასაქმებაზე ორიენტირებული აქტივობების შემუშავება								
2.6	ინტერნაციონალიზაცია (პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ევროპის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან)								გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა.
2.7	ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო								შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

	პროგრამების დამატებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება								
2.8	ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, არსებული საგნობრივი პროგრამებიდან ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მთლიანად გადასვლა								ავტორიზებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3.	ხარისხის უზრუნველყოფა								
3.1	პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ინსტრუქტორების გამოკითხვის ჩატარება								ჩატარებულია სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ინსტრუქტორების გამოკითხვის და მომზადებულია გამოკითხვის შედეგების ანალიზი.
3.2	პარტნიორთა დამსაქმებელთა გამოკითხვა შრომის ბაზრის								ჩატარებულია კოლეჯის პარტნიორი დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვის

	მთხოვნების შესწავლისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვის მიზნით								შედეგები გამოყენებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის მიზნით
3.3	ლაბორატორიების დამატებითი მასალებით აღჭურვა სასწავლო პრაქტიკის გასახორციელებლად								ლაბორატორიები აღჭურვილია
3.4	ლაბორატორიების განახლება დარგში არსებული სიახლეებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების შესაბამისად								ლაბორატორიები აღჭურვილია
3.5	წიგნადი ფონდის შევსება/დახვეწა/განახლება								წიგნადი ფონდი შევსებულია/განახლებულია
3.6	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლევადიანი კურსების შემუშავება- განახლება								მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები შემუშავებულია
3.7	ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია								მოდერნიზებულია ინფრასტრუქტურა
3.8	სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მუდმივი მონიტორინგი								სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების დოკუმენტი
3.9	შშმ. სსსმ პირებისთვის გარემოს ადაპტირება (მუდმივი განახლება)								მოდერნიზებული ადაპტირებული გარემო, როგორც ქ.ქუთაისში, ისე ქ.მარნეულში, შშმ. სსსმ პირებისთვის

4.	ცნობიერების ამაღლების კამპანია								
4.1	ღია კარის დღეების ორგანიზება								ჩატარებული ღია კარის დღეები ქ.ქუთაისსა და ქ.მარნეულში
4.2	საგაზაფხულო მიღება, მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება								ჩატარებულია ეფექტური კამპანია ქ.ქუთაისსა და ქ.მარნეულში
4.3	ახალი წლის ღონისძიების ორგანიზება								ჩატარებული საახალწლო ღონისძიება ქ.ქუთაისსა და ქ.მარნეულში
4.4	პროფორიენტაციის ღონისძიების მოწყობა, ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში								განხორციელებულია პროფორიენტაციის ღონისძიება. პროფორიენტაციის მიზნით განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტი/ვიზიტები